პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 25 მარტი, 1949 წ. № 58 (8361). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში.

რაიონული გაზეთების ამოცანები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს და კ. პ. (ბ) სოლალმ კომიტეტს (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ვ. კორონოვი — რეგიონალ მოვაწყოთ ფეცადინეობა თემაზე „სსრ კავშირი და კაპიტალისტური სამყარო.“ (მე-2 გვერდი).
გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს ბაზრდა მეშახტეთა შორის! (მე-2 გვერდი).
გამოცდილების ტრიბუნა (მე-3 გვერდი).
ავიაციის გენერალ-მაიორი ე. ტატანაშვილი—„შეხვედრა ელბაზე“ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

რაიონული გაზეთების ამოცანები

საქართველოს მშრომელები სამარილოანად ამაყობენ იმ წარმატებებით, რომლებიც მათ მოიპოვეს ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში. ეს წარმატებანი მიღწეულია ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, რომლის ხელშიც, როგორც ამას დიდი ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიან — ყველაზე მძლავრი, ყველაზე ბასრი იარაღი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვაა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს პრესას, კერძოდ მის ყველაზე მრავალრიცხოვან რაზმს — რაიონულ გაზეთებს.

ამჟამად რაიონული გაზეთების უპირველესი მოვალეობაა დაეხმარონ სოციალისტური სოფლის აღმშენებლებს მათს ბრძოლაში წელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ახლა, როცა საკოლმეურნეო მინდვრებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში ფართოდ ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მშრომელთა შორის. ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციებს დაუფლავად უნდა ეხმარებოდეს გაზეთი.

რაიონულ გაზეთს მუშაობის ფართო ასპარეზი აქვს. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიისა და მთავრობის მითითებათა უნარიანი პოპულარიზაცია, ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის მეთოდების დანერგვა, სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული ადამიანების გამოცდილების დაუფლაები პროპაგანდა — აი რა მოეთხოვება ახლა თვითეულ რაიონულ გაზეთს.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონული გაზეთების დიდი უმრავლესობა საქმიანად ჩაუდგა სათავეში საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენებაში დასახული ამოცანების პროპაგანდას. საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის მათ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ (რედაქტორი ა. სალუქვაძე) ყოველ ნომერში აქვეყნებს განყოფილებას რუბრიკით „ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი“. გაზეთი თანმიმდევრულად და საქმის სიყვარულით აშუქებს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის მახარაძელ კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას, მტკიცედ უდგას სათავეში ჩაის, ციტრუსების და სხვა პუბლიკაციულ კულტურათა მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის ბრძოლას, დაუღალავად ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას და ბოლშევიკური პირდაპირობით აკრიტიკებს ჩამორჩენილებს.

ასევე კარგად მუშაობენ პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელებისა და უხვი მოსავლისათვის ზუგდიდის, ზესტაფონის, ქობულეთის, გორის, ცხაკაიას რაიონული გაზეთები. აღნიშნული გაზეთები დროულად და საქმის სიყვარულით ეხმაურებიან საკოლმეურნეო სოფლის მოწინავეთა შრომით მიღწევებს, ხელს უწყობენ მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას და საქმით იმსახურებენ კოლეგიური ორგანიზატორისა და პროპაგანდისტის სახატონ სახელს.

საგზუხაროდ, ასე როდი ითქმის ყველა რაიონული გაზეთის მუშაობაზე.

დღეშია რაიონული გაზეთი „სტალინური გზით“ (რედაქტორი ბ. ჯაველიძე) სუსტად აშუქებს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საკითხებს. გაზეთმა თავისი მუშაობა ძირითადად განსაზღვრა ყინლობის მიმდინარეობაზე რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვით. ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდან დღემდე რუბრიკით „პარტიული ცხოვრება“ გაზეთს არც ერთი წერილი არ დაუბეჭდია. გაზეთი არადაკმაყოფილებლად აშუქებს საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობას.

ცუდად მუშაობს გაზეთი „სოციალისტური მეცხოველეობაც“ (საქართველოს კ. პ. (ბ) დანიისის რაიკომისა და რაისაბჭოს ორგანო). ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში, როგორიცაა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა, გაზეთი მიმდინარე წლის 15 მარტამდე სრულებით არ გამოხმაურებია. გაზეთის სრულიად გამორჩა მხედველობიდან საგაზაფხულო ნგნა-თესვისათვის მზადებასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხების გაშუქება.

არაოპერატიულობა გაზეთი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება ოგრძნობა ავრეთვე კაკრეთის, თიანეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთის მუშაობაში. დასახელებული გაზეთები სუსტად აშუქებენ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, არასაკმაოდ ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ გაზეთებში ჯერ კიდევ არადაკმაყოფილებლად მუქდება პარტიული ცხოვრება, საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიული ორგანიზაციების საორგანიზაციო და პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს, გაზეთების ფურცლებზე სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი აგროტექნიკურ პროპაგანდას და სხვ. გაზეთების მუშაკებმა სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ ამხანაგ ჩარკვიანის მითითებიდან.

რაიონული გაზეთის მუშაობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1940 წლის ივლისში თავის დადგენილებაში „რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ“ აღნიშნავდა, რომ რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი პირადად უნდა ხელმძღვანელობდეს გაზეთის მუშაობას. გაზეთი „პრავდა“ მიგვითითებს: „რაიკომის მდივანს უნდა ახსოვდეს, რომ თუ იგი ხელიდან უშვებს გაზეთს, არ ეინტერესება მისი შინაარსი, ამით იგი რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას მასების ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს ართმევს“.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ალბანეთის მთავრობის დელეგაცია

23 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ენვერ ხოჯას და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ სპირო კოლეკის შემადგენლობით.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი და ალბანეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი მ. პრიფტი. (საკდესი).

ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო ბ-ნი ენვერ ხოჯა და ბ-ნი სპირო კოლეკი

22 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ენვერ ხოჯა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე სპირო კოლეკი.

მიღებას დაესწრნენ ალბანეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი მ. პრიფტი და საბჭოთა დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი. (საკდესი).

ლ. ჰ. ბერიას წიგნის ახალი გამოცემა

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ლ. ჰ. ბერიას წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ახალი, მეშვიდე გამოცემა.

პირველი გამოცემიდან განვლილი 14 წლის მანძილზე ლ. ჰ. ბერიას წიგნი ნიადაგსახმარი ახელმძღვანელო გახდა ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიის ყველა შემსწავლელისათვის. ლ. ჰ. ბერიას წიგნი მრავალრიცხოვანი ტირაჟით ხარეთნულ გამოიცა მოსკოვში, კიევში, მინსკში, ბაქოში, ერევანში, სტალინაბადში, ტაშკენტსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. წიგნი გადათარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა თოქმის ყველა ენაზე. გარდა ამისა, იგი მასობრივი ტირაჟით გამოიცა ინგლისურ, გერმანულ და სხვა უცხო ენაზე. (საქდესი).

ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო კ. პ. (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მისი ოცდაათი წლისთავის დღეს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბაშკირეთის ხალხები გაათავისუფლა თვითმპყრობელობისა და აღგილობრივი ფეოდალების უღლისაგან და გაუხსნა მათ კულტურული და ეკონომიური აღმავლობის ფართო გზა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ბაშკირმა ხალხმა განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია წარსულში ჩამორჩენილი თავისი ეხარის სოციალისტურ გარდაქმნაში.

ბაშკირეთის რესპუბლიკაში შექმნილია და წარმატებით ვითარდება ნავთის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობა, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია მეტალურგია, აშენდა ახალი რკინიგზები, გაიზარდნენ ინდუსტრიული ქალაქები. ბაშკირეთის სოფლის მეურნეობა სოციალისტური გარდაქმნის შედეგად ჩამორჩენილიდან, კერძომესაკუთრულიდან, დაქსაქსულიდან გადაიქცა განსაზოგადოებულ, მსხვილ, მექანიზებულ მეურნეობად. მაღალ დონეს მიაღწია ბაშკირი ხალხის ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ.

დიდი სამამულო ომის წლებში ბაშკირი ხალხი თავდადებულად ეხმარებოდა ზურგსა და ფრონტს, მამაცი საბჭოთა არმიის რიგებში ბაშკირი მეომრები ვაჟკაცურად იბრძოდნენ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამჟამად ბაშკირეთის მშრომელნი თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მთელ ძალებს ახმარენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ტკბილი რწმენას გამოთქვამენ, რომ ბაშკირეთის ასსრ მშრომელნი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კეთილად დაუფლავად იბრძოლებენ რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის, შემდგომი აყვავებისათვის, თავდადებით იშრომებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მტკიცე ოჯახში, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ბაშკირეთის ასსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 22 მარტის ბრძანებულებით ბაშკირეთის ასსრ 30 წლისთავთან და სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ბაშკირეთის ასსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სტერლი-ტამაკის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“ თავმჯდომარე პ. ვ. ალექსეევი, უჩალის რაიონის კოლმეურნეობა „ურგუნის“ მეცხენეობის სასაქონლო ფერმის გამგე მ. ალტინოვი, მიაკის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირელის“ მერგოლური ზ. ი. ანდრეევა, საკავშირო კ. პ. (ბ) ტუიმაზის რაიკომის პირველი მდივანი ე. ხ. ბარანოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ა. ვაგაპოვი, ასლეკულის მტს-ის უფროსი მექანიკოსი ვ. პ. გამაიოროვი, აბდრაზიაკის მტს-ის კომბაინერი მ. გ. გარიბოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტი და ბაშკირეთის ასსრ სახალხო არტისტი ა. ფ. ზუბაიროვი, მშრომელთა დეპუტატების ბირსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ივანოვი, ბაიმაკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ მეჯოგე ტ. ი. იდრისოვი, ბაშკირეთის სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი გ. გ. კადიროვი, სალავატის რაიონის იშმერდინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ნ. კ. კამაოოვა, სამშენებლო მანქანათა ქარხნის (ქ. სტერლიტამაკი) ზეინკალი რ. გ. კინზებულატოვი, ბელორეცკის რაიონის ვერხნე-ავზიანსკოეს სატყეო სამრეწველო მეურნეობის ხეტყის მზიდავი ი. ი. კუდრიაშევი, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი პ. ვ. კუზნეცოვი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ს. ზ. ლუკმანოვი, ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ვ. ნიგმაჯანოვი, ბელეშების რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ქირურგი ა. ნ. სოკოლოვი, ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რ. ურაზბაევი და სხვები — სულ 63 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 349 კაცი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 748 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 433 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 429 კაცი. (საკდესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

* * *

საპირველმაისო შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

დუშეთი. (საკ. კორ.). ბულაჩაურის წყალსადენის მშენებელთა კოლექტივი საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. ცალკეულმა უბნებმა და ბრიგადებმა ამ შეჯიბრებაში უკვე პირველი წარმატებანი მოიპოვეს. ძაგლოთად, მიწისთხრელთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ო. გულოიანი ხელმძღვანელობს, დღიურ ნორმებს 150-170 პროცენტით ასრულებს. მოწინავეთა რიგებშია კ. სიმონიანის ბრიგადაც.

დაწინაურდნენ სტახანოველები დ. ბაგაშვილი, კ. ბაიაშვილი, ს. კოჩეტკოვი, ა. ოგანესიანი, ა. კუდრიავცევი, რომლებიც გამომუშავების ნორმებს 150-160 პროცენტით ასრულებენ.

მშენებლობაზე დიდი ყურადღება ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა პოპულარიზაციას. მშენებლობის კედლის გაზეთი, სპეციალური ფურცლები და პლაკატები მშენებლებს ყოველდღიურად განუმარტავენ მოწინავე უბნების, ბრიგადებისა და ცალკეული სტახანოველების ახალ შრომით გამარჯვებებს.



თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკალი პ. მუხიგულაშვილი ჩაება სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა წლის განმავლობაში შეასრულოს 2½ ნორმა და დაუშოგოს ქარხანას 8.000 მანეთი. სურათზე: ზეინკალი პ. მუხიგულაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ბრუნვის დაჩქარებით სახალხო მეურნეობას გაუთავისუფლოთ ზეგეგმითი მილიონები

* * *

მოსკოველთა ინიციატივის პასუხად

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის საწარმოებმა 1947 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამომავება და სახელმწიფოს მისცეს 9.883 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგრავება ნაცვლად ნავარაუდევი 4.400 ათასი მანეთისა. მარტო ნავსადგურმა, რომელმაც 13 სექტემბრისათვის შეასრულა ტვირთბრუნვის წლიური გეგმა, სახელმწიფოს დაუგროვა 6.588 ათასი მანეთი.

ქალაქის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა ინიციატივას — საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოსათვის თანხების განთავისუფლების შესახებ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივმა იკისრა 10 დღით დაჩქაროს საბრუნვა საშუალებათა ბრუნვა და სახელმწიფოს აჰ გზით გაუთავისუფლოს 1 მილიონი მანეთი. წისქვილკომბინატში საბრუნავი თანხების ბრუნვის ოთხი დღით დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლებენ 565 ათას მანეთს. წინასწარი გამოანგარიშებით ნავსადგურის კოლექტივი ბრუნვის სამი დღით დაჩქარებით გაათავისუფლებს 300 ათას მანეთს.

შაქრის ქარხნის კოლექტივის ვალდებულება

აგარა. (საკ. კორ.). აგარის ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის კოლექტივმა გულდასმით გამოიანგარიშა თავისი საწარმოს შესაძლებლობანი და იკისრა საბრუნავი სახსრების ბრუნვა დაჩქაროს 4 დღით, ზენორმატიული მარაგის ლიკვიდაციით გაათავისუფლოს 80.000 მანეთი, შრომატევადი სამუშაოების შემდგომი მექანიზაციით — 30.000 მანეთი, დებიტორული დავალიანების შემცირებით და საბანკო კრედიტების სწორად გამოყენებით—20.000 მანეთი, ხოლო საწარმოს სარემონტო მასალების ეკონომიითა და წარმოების გადიდების გზით — 50.000 მანეთი. სულ აგარელები წელს სახელმწიფოს გაუთავისუფლებენ 180.000 მანეთს.

დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

კასპი, 24 მარტი. (საქდესი). რაიონში დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. კოლმეურნეობა „შრომის სხივის“ მინდვრებში 23 მარტს დათესეს პირველი 3 ჰექტარი. თესვა პირველმა დაიწყო სტახანოველმა მერგოლურმა ე. უხერგუნაშვილმა, რომელსაც ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 620 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოიყვანს.

ჭარხალ თესავენ აგრეთვე სოფელ ქვემო გომის, ხიდესა და ეზბის კოლმეურნეობანი. წითელქალაქის მტს-ის ტრაქტორისტებმა იკისრეს 10 აპრილისათვის მთლიანად დაამთავრონ 550 ჰექტარი შაქრის ჭარხლის თესვა იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ.

ბრიგადა ბრიგადასთან

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტყეთმოქმედებაში ბრიგადა ბრიგადასთან ებრძოლა ტყეთმოქმედებისა და ტყეთმოსარგებლეობის ადგილებზე ხეების ფესვებიანად ამოღებისა და ტყეთმოსარგებლეობის ადგილებზე ნაფოტების ალაგებისათვის. ბრიგადა ბ. ბ. ბ.

პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „სსრ კავშირი და კაპიტალისტური სამყარო“

თემა „სსრ კავშირი და კაპიტალისტური სამყარო“ მიძღვნილია საერთაშორისო ვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისადმი ახალ ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ეს თემა განმარტავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საფუძვლებს, თემის შესწავლა დაეხმარება მსმენელებს უფრო ღრმად გაგონ სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურის წინაშე, მეოთხეთა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირეული განსხვავება კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისაგან, ნათლად დადენონ სსრ კავშირის გადამწყვეტი როლი ფაშისტ აგრესორთა განადგურებაში მეორე მსოფლიო ომის დროს და სსრ კავშირის წამყვანი როლი ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ამ თემის შესწავლამ ხელი უნდა შეუწყოს პოლიტსკოლების მსმენელებსა და ახალი ეპოქის — სოციალიზმის ეპოქის მეგზურთს, ჩვენს სოციალისტურ ქვეყნათაგან უფრო მეტი ხალმაყის გონებას დარეკვას. ამ თემის შესწავლამ უნდა გვიჩვენოს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ კაპიტალისტური გარემოცვის ბრძოლის მეთოდები, ხელი შეუწყოს მსმენელებს სოციალიზმის დაწარგვას საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში.

* * *

თემის „სსრ კავშირი და კაპიტალისტური სამყარო“ შესწავლა გათვალისწინებულია ორ მეცადინეობაზე.

პირველ მეცადინეობაზე პროპაგანდისტმა თავის საუბარში ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს: ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებანი და მსოფლიოს გათიშვა ორ ბანაკად — კაპიტალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად; კაპიტალიზმის რღვევის დასაწყისი; ერთი მხრივ, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და, მეორე მხრივ, კაპიტალიზმის ლაბილ გაღრმავება, კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავება; ომის კერების შექმნა დასავლეთში და შორეულ აღმოსავლეთში.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ბერლინერ ფილოდოგებისაგან ომერიკოლოგიზმის წინააღმდეგობანი, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯზე, რომელიც მთავარი და ბრძოლისა დამპყრობლური ომების მოწოლის გზაზე და რომელიც აღიფრთოვანებს ხალხებს მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საბრძოველად. პოლიტკოლის ხელმძღვანელი მოგონებს მსმენელებს, თუ როგორ ცდილობენ იმპერიალისტები ჩვენი სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ მისი შექმნის დასაწყისიდანვე.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა გერმანია ბურჟუაზია თავიდან აეცილებინა რევოლუცია და გიჟიანებინა იმპერიალისტები ომი გერმანიის მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. როგორ ჩაუყენა ამ ხელისუფლებას საფრთხე პიტლერული პარტია.

პროპაგანდისტი მსმენელებს განუმარტავს, რომ გერმანიის ფაშიზმს სოციალ-დემოკრატიული ბურჟუაზია თავიდან აეცილებინა რევოლუცია და გიჟიანებინა იმპერიალისტები ომი გერმანიის მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. როგორ ჩაუყენა ამ ხელისუფლებას საფრთხე პიტლერული პარტია.

პროპაგანდისტი მსმენელებს განუმარტავს, რომ გერმანიის ფაშიზმს სოციალ-დემოკრატიული ბურჟუაზია თავიდან ავაცილებინა რევოლუცია და გიჟიანებინა იმპერიალისტები ომი გერმანიის მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. ეს ომი ბურჟუაზიას ეგონა „ელვისმსგავსი“ ომად, ანალოგიური ომისა, 1870 წლისა, „ელვისმსგავსი“ ომისა, 1914 — 1918 წლებისა. ბურჟუაზიას ეგონა, ომი ერთ-ორ კვირაში, ან ერთ-ორ თვეში ავიღებ ფრანგეთს, ავიღებ ინგლისს, ავიღებ ამერიკას, ავიღებ ყველა ქვეყანას, ავიღებ ყველა ხალხს, ავიღებ ყველა ბუნებრივ სიმდიდრეს, ავიღებ ყველა ბაზრებს, ავიღებ ყველა ადგილს, ავიღებ ყველა ადგილს, ავიღებ ყველა ადგილ

გამოცდილების ტრიბუნა

ჰექტარზე 400 ცენტნერი ვაშლი

ვმუშაობ გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მერგოლური. შარშან რგოლმა 10 ჰექტარი ბაღის ყოველ ჰექტარზე 94 ცენტნერი ხილი მოიყანა. პირადად მე ვუვლიდი ერთ ჰექტარ ბაღს, რომელშიც 400 ცენტნერი ვაშლი მოგვარიფე. ამისათვის კოლმეურნეობიდან მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 50 ცენტნერი ვაშლი მერგო.

ოც წელზე მეტია ხეხილს ვუვლი. ყოველთვის ვცდილობ ჩემი ბაღი ყველაზე უკეთესად იყოს მოვლილი.

როგორც კარგი თესლი მოსავლის საფუძველია, ისე ბაღშიც ხეხილის ნერგს, მის ჯიშიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბაღში, რომელიც მე მბარია, ადგილობრივი ჯიშის ვაშლი „აკუხურაა“ გაშენებული. ეს ქართული სამრეწველო ჯიშია, რომელსაც ახასიათებს ადგილობრივი პირობების კარგი ამტანობა, მავნებლებისა და ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, ხანგრძლივი უხვი მსმოსარობა. მაგალითად, 25-30 წლის ხეს შეუძლია ერთ ტონამდე ვაშლი მოგვცეს. ხე ცოცხლობს დაახლოებით 80-100 წელიწადს. ნაყოფი ლამაზი, კარგი წითელი ფერისა და მსხვილი იცის, თვითეული 300-400 გრამს იწონის, კარგად იტანს შორ მანძილზე გადატანას. ჩვეულებრივი სარდაფის პირობებში ინახება მეორე მოსავლამდე, ესე იგი ოქტომბრიდან ოქტომბრამდე, მაცივარში კი—2-3 წელიწადზე მეტს, ამასთანავე ინარჩუნებს თავის ღირსებებს — წვნიანობას, შაქრიანობას, მომზიდველ ფერსა და გემოს.

ერთი ჰექტარი საკოლმეურნეო ბაღი, რომელშიც შარშან 400 ცენტნერი ვაშლი მივიღე, პირადად ჩემს მიერ 18 წლის წინათ არის გაშენებული და მას შემდეგ მხოლოდ მე ვუვლი. ჩვენს კოლმეურნეობაში 1947 წლიდან შემქმნელია მეხლეობის სპეციალური ბრიგადა და რგოლები. რგოლების შიგნით თვითეულ წევრს მიჩენილი აქვს ხეები ინდივიდუალური მოვლისათვის 5-7 წლის ეადით. მთლიანად ჩემს რგოლს, რომელშიც 11 კოლმეურნეა, აბარია 16 ჰექტარი ბაღი, ე. ი. თვითეულ წევრს 1,5 ჰექტარამდე. ისინი ყველანი იცნობენ აგროწესებს, დაუფლებულნი არიან ხეხილის მოვლის საქმეს, კარგად იცავენ სამუშაოთა ვადებსა და ხარისხს, სიყვარულით, გულმოდგინედ და თანმიმდევრულად ასრულებენ ბაღში ყოველ სამუშაოს. ამ მხრივ რგოლის წევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან სოკო რჩეულიშვილი, პაღლო კოკობერიძე, მარო რომელაშვილი, ვიტა ჩიტუნაშვილი, ქეთო რჩეულიშვილი. ისინი ხეხილის უკლინან ინდივიდუალური მიდგომით მისი განვითარების, სიძლიერის, მსხმოიარობის და საერთოდ მდგომარეობის გათვალისწინებით.

ხეხილს შემდეგნაირად ვუვლი: შემოდგომაზე მოსავლის აღებისთანავე, ესე იგი ნოემბრის პირველი რიცხვებიდან, ვიწყებ ყველა ხის დათვალიერებას, ვამოწმებ ნარგავთა მდგომარეობას და ამის მიხედვით ვითვალისწინებ

ს. ცაცანაშვილი
გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მერგოლური

ნიგნის ღღე სკოლაში

თბილისის ქალთა №-13 სკოლამ (დირექტორი ალმ. ა. ხუსკივაძე) კარგი ინიციატივა გამოიჩინა: 22 მარტს, საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში, მოაწყო „წიგნის დღე“. ამ დღის მიზანი იყო ბავშვებისათვის წიგნის ისტორიისა და მნიშვნელობის გაცნობა, წიგნისადმი სიყვარულის ჩაენერგვა.

სკოლის დერეფნები და ორი დიდი დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული. გამოფენილ იქნა საინტერესო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. დერეფნებში გამოკიდული კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია ცალკეული ასაკის ბავშვებისათვის.

დიდი დარბაზისა და დერეფნის კედლებს ამშვენებს საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, ა. პუშკინის, მ. გორკის პორტრეტები და მათი შრომებიდან ამოკრეფილი აზრები წიგნების ინიშვნელობის შესახებ. ისინი მოსწავლეებს მშვენივრად დაუფერთათ, გაუფორმებია და გამოეკრავთ პორტრეტების ქვეშ. მ. გორკის სურათის ქვეშ წარწერია მწერლის ცნობილი სიტყვები: „რაც კი რამ არის ჩემში კარგი, ყველაფერი წიგნებითაა“. აქვეა ბავშვების მიერ დახატული ამ წიგნების და ჟურნალების გარეკანები, რომლებიც მათ უყვართ. გამოფენილია ბავშვთა შემოქმედების ნიმუშები: აკროსტიხები და რებუსები.

ნორჩ ლიტერატორებს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი მოუმზადებიათ. აქ მოთხრობილია, თუ როგორ უყვართ და აფასებენ წიგნებს პიონერები.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც წიგნის დღეს მიეძღვნა, დაესწრნენ მშობელთა აქტივი, მასწავლებლები, მოსწავლეები. სტალინის რაიონის განათლების განყოფილების მუშაკები. სტუმრები—თბილისის რაიონის განათლების დარგის მუშაკები, მეზობელი სკოლების დირექტორები.

მასწავლებელმა თ. ჩერქეზიშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე „წიგნის მნიშვნელობა“.

სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს მოსწავლეებმა: ვ. ჯაფარიძემ „წიგნის მნიშვნელობა“, ლ. ახობაძემ „წიგნი ჩვენი მეგობარია“, ლ. გოთონშიმ „მეგობროთ დიდ ლენინს“, დ. ქირიაშვილმა „ძველი ქართული წიგნები“, ე. არუშიძემ „გავეფინთნილიყოთ წიგნებს“, ლ. სიხარულიძემ „ჯიყვარდეთ წიგნები“, ი. კოპალიშვილმა „როგორ უნდა ვიმუშაოთ წიგნზე“.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: ნ. ბერძენიშვილმა, ი. აბრამიამ, ლ. გოგიშვილმა, ლ. გოთონშიამ, ა. ხირსელმა და მ. გოგნაშვილმა.

საზეიმო სხდომის შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს ინსცენირება „წიგნის საჩოვარი“.

ჩვენ გვწერენ

როდემდის უნდა ვიყოთ უკლუბოდ?

ლამაზი სოფელია თაია. იგი ჩხოროწყუს რაიონულ ცენტრს 15 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში არის სასოფლო საბჭო, 8-წლიანი სკოლა, საექიმო პუნქტი და კოლმეურნეობა. ასეთ სოფელს უნდა ჰქონდეს კლუბი, რომელიც კულტურულ მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას.

როდემდის იქნებიან თაიელები უკლუბოდ?

ი. ნაბაყვლია

საბჭოთა მშენებლობა

ავამაღლოთ საბჭოების მუშაობის კომისიების როლი

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუდმივი კომისიების მთავარ ამოცანას საბჭოების ირგვლივ მშრომელთა ფართო აქტივის დარაზმვა, საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა შეადგენს.

იქ, სადაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოები სისტემატურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ მუდმივ კომისიებს, ისინი ნაყოფიერად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას, სერიოზულ დახმარებას უწევენ საბჭოებს მთ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

კარგად მუშაობენ ჯიხაშის სასოფლო საბჭოს საგზაო მშენებლობის, სახალხო განათლებისა და სანიეკონომიის მუდმივი კომისიები. სამტრედიის, წულუკიძის და წყალტუბოს რაიონებთან დამაკავშირებელ გზებზე ჩანგრეული იყო ბოგირები, ხოლო სოფლის ტრაქტორიაზე, შიდა გზებზე ტბორი დგებოდა. საბჭოს საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ისაკ ჯკარიშვილმა კომისიის წევრებთან და აქტივისტებთან ი. ვაშაკიძესთან, თ. კაჭახიესთან, ვ. ლეკვეიასთან, ი. ვაშაკიძესთან, ა. დიდიძესთან და ვ. ნასარაიასთან ერთად შეიმუშავა აღნიშნული მდგომარეობა. ასწონ-დასწონეს შესაძლებლობანი, თუ რა სამუალებებით შეიძლებოდა საგზაო მშენებლობის საქმეში სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსწორება და შეადგინეს ბოგირების მშენებლობისა და გზების შეკეთების კონკრეტული გეგმა, რომელიც სასოფლო საბჭოს აღმასკომს წარუდგინეს. აღმასკომმა მხარი დაუჭირა მუდმივი კომისიის ამ საქმიან წინადადებას და მოკლე დროში აიგო ცემენტის 4 ბოგირი, ხოლო 4,5 კილომეტრის სიგრძეზე გზების ორივე მხარეს გაყვანილ იქნა არხები. გზების დაყარეს 3.000 ურემი ხრეში. სახალხო განათლების მუდმივმა კომისიამ თავის დროზე შეამოწმა საბჭოს ტერიტორიაზე არსებული საშუალო და რვაწლიანი სკოლების ზამთრისათვის სათბობით უზრუნველყოფის საკითხი, კომისიის ქმედითი დახმარების შედეგად აღმასკომმა აღნიშნული სკოლები ზამთრისათვის საკმარ სათბობით მოამარაგა. ამ კომისიის ნაყოფიერი მუშაობით აიხსნება ჯიხაშის სასოფლო ბიბლიოთეკისა და კლუბის სანიმუშო მუშაობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის მიერ ისინი შარშან დაჯილდოებულ იქნენ სიგელებით, ხოლო ბიბლიოთეკა დამატებით დაჯილდოებულ იქნა 1.500 მანეთით. საბჭოს სესიებზე სისტემატურად იხილავენ მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხს და თავის დროზე სახავენ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კარგად მუშაობენ აგრეთვე სამტრედიის საქალაქო, ტოლების, კულაშის, საჯაევაზოს და სხვა სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები.

სამწუხაროდ, ყველგან ასე ნაყოფიერად როდი მუშაობენ მუდმივი კომისიები. ზოგჯერ, ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, სამუშაო გეგმები არა აქვთ. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც კომისიები საბჭოების აღმასკომების როლში გამოდიან. ასეთი მდგომარეობა იყო სოფელ ზედა ეწერში. საბჭოს სახალხო განათლების მუდმივი კომისიის სხდომაზე განიხილეს ამავე სოფლის 8-წლიანი სკოლის დირექტორის მოხსენება „სკოლის რემონტისათვის თანხების ხარჯვის შესახებ“ და ასეთი „დადგენილება“ მიიღეს: „დაეკალოს სკოლის დირექტორს კიდევ უფრო იზრუნოს სკოლის რემონტისათვის“. ამავე საბჭოს აღმასკომის სამეფუნჯეტო კომისიამ მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის ხელის შეწყობა აღმასკომის მდივანს დაავალა, ნაცვლად იმისა, რომ აღმასკომს დახმარებოდა. სუსტად მუშაობს საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიაც.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე სოფელ ღანირის, ოფეთის, გამოჩინებულის და ბაშის საბჭოების მუდმივი კომისიები.

რაისაბჭოს აღმასკომი სისტემატურად ამოწმებს და ინიკავებს საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობას, სახავს ღონისძიებებს ამათ მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გასული წლის ივლისში განეიხილეთ იანეთის საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ ისინი ფორმალურად არსებობდნენ, შედგენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმები, კომისიის სხდომებსაც კი არ იწვევდნენ. რაისაბჭოს აღმასკომმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომლის შესრულების შემოწმების შედეგები გასული წლის 9 დეკემბერს მოვისმინეთ. მიღებული ზომების შედეგად ახლა იქ მდგომარეობა გამოსწორებულია.

თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სოფლსაბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები, რომელთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარება მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოსა და მისი აღმასკომის უახლოესი ამოცანაა.

ახალი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელს დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაძლიერებაზე, მისი აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებაზე. ჩვენ ყოველგვარ ზომებს მივიღებთ ამ სერიოზული ამოცანების გადაჭრაში მუდმივი კომისიების აქტიურად ჩასაბმელად.

მ. ნიშნიანიძე
მშრომელთა დეპუტატების საქალაქო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

კინო

„შეხვედრა ელბაზე“*

დარბაზში სინათლე ქრება. ასობით მაყურებლის თვალი მიეჭყობია ეკრანისაკენ...

1945 წლის გაზაფხულის მარადსამახსოვრო დღეებია, დიდი სამამული ომის დამამაგრებელი ეტაპი. საბჭოთა არმიის ნაწილები ამსხვევენ ჰიტლერელთა უკანასკნელ სიმაგრეებს და გადიან მდინარე ელბის აღმოსავლეთ ნაპირზე. ქალაქი ალტენშტადტი, რომელსაც ელბა ორ ნაწილად ყოფს, ცეცხლშია გახვეული. მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩენილ ნაციტთა შორის სასოწარკვეთილი პანიკაა. ისინი ისწრაფვიან გასაწრენ და გიაქანენ ამერიკელებისაკენ.

ამერიკის ჯარები მოადგნენ მდინარის მარჯვენა ნაპირს. ჯარისაკაცები მანქანებიდან ხტებიან მდინარეში და სიხარულის გრძნობით მიცურავენ ჩვენი ნაპირისაკენ. სიმეთო ჯარისაკაცები მეგობრულად იწყვიან მაოკენ ხელს. ორივე მხრიდან გისმინის ამალელვებული შეძახილები: „ჰამარჯვება!“, „სალუტ სტალინს!“.

ეს დიადი გმირობა ელბის ნაპირებზე, ევროპის ცენტრში მიეტანეს ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს შეილებმა. საბჭოთა ხალხს გმირულმა ბრძოლამ და შრომამ უზარბაზეული კაცობრიობის გადარჩენა ჰიტლერული ტირანიისგან. ამიტომ კარგია, რომ ამერიკელი ჯარისაკაცები სიყვარულითა და მეგობრული გრძნობით ხვდებიან საბჭოთა ჯარისაკაცებს. თუმცა მათ ნაკლებად ესმით ერთმანეთის ენა, მაგრამ საძალეელი მტერზე ერთობლივი გმირკეკვების კეთილშობილი გრძნობები აკავშირებს ამ უბრალო ადამიანებს. ისინი ერთმანეთს ეხვევიან, გამარჯვებას ულოცავენ. ორივე ქვეყნის ჯარისაკაცთა მეგობრული შეხვედრა ეოოკუსა ალგრის ამერიკელ მონოპოლისტთა გენერალსმენდერიანან ერთგულ მსახურებს.

— ერთი შეხედეთ ამ იდიოტს, ბატონებო! ეს ომის ყველაზე მძიმე შედეგია!—გულისტკივნალად ამბობს ამერიკელი გენერალი მაკდერმოტი, რომელიც საბჭოთა და ამერიკის ჯარისაკაცთა შეხვედრის სურათს ბინოკლით უყურებს.

გულთბილად ხვდებიან ჩვენს ნაპირზე თავთავიანთი ზონების მომავალი კომენდატები — საბჭოთა არმიის მაიორი კუზმინი და ამერიკელი მაიორი ჯილმს ბელი. ისინი ალტაკებით წარმოთქვამენ სადღეგრძელოს დიადი საბჭოთა არმიისას, რომელმაც თავისი ძლიერებითა და მამაცობით განეკეფრებაში მოიყვანა მთელი მსოფლიო, დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ეუფრავენ დიდ სტალინს, სამეფ პრეზიდენტ რუზველტს ხსოვნის სადღეგრძელოს.

ელბის ნაპირზე ორი მსოფლიოს, ორი დიდი სახელმწიფოს არმიების ჯარისაკაცთა შეხვედრა გულთათანთა ხდება. ჯერეს ბელი კუზმინს სახსოვრად გადასცემს ლოლაბს ალტოგრაფოთ: „ამერიკელი ყველანმაელი, რომელსთვისაც მსოფლიოში არაეთარი დაბრკოლება არ არსებობს“. ხოლო ბელს თხოვნით კუზმინი თავის მხრივ ამერიკელ მეგობარს უსახსოვრებს ჩერგონეკს წარწერით: „ეს ჩერგონეკი მალიონზე მეტი ღირს, რადგან ჯარისაკაცთა მეგობრობას ეფასებთანი ფულით ვერ იყიდო“.

ასე იწყება ახალი მხატვრული ფილმი „შეხვედრა ელბაზე“, რომელსაც ამეამად თბილისს კინოთეატრებში უჩვენებენ.

ეს შესანიშნავი ფილმი საფსებით სწორად წარმოგვიდგენს მსოფლიოს ორ ბანაკს. მაყურებელს თვალწინ იშლება საბჭოთა და ამერიკელი ადმინისტრაციების სამმართველოთა მეშობა. ისინი ერთიანდებიან, ერთად ეწინააღმდეგებიან ფაშისტურ ბანდიტებს, ერთად ებრძვიან ფაშისტურ ბანდიტებს, ერთად ებრძვიან ფაშისტურ ბანდიტებს, ერთად ებრძვ

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

საფრანგეთი

პარიზი, 22 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტის ბიუროს ცნობა გამოაქვეყნა, რომ კონგრესში მონაწილეობას მიიღებს 2 ათასი დელეგატი, მათ შორის საფრანგეთის 500 და მსოფლიოს სხვა ქვეყნების 1.500 დელეგატი.

პრესაში ქვეყნდება ცნობები, რომ კონგრესს სხვადასხვა ქვეყნის სულ ახალი და ახალი ორგანიზაციები უერთდებიან. ბელგიელმა მალიროელებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ კონგრესს.

სენის დეპარტამენტის ომის ყოფილ მონაწილეთა და ყოფილ სამხედრო ტყვეთა ასოციაციამ თავის ყოველწლიურ ყრილობაზე მიიღო მშვიდობის დაცვისაკენ მიმართული რეზოლუცია.

სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მრავალ განცხადებებში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატივისადმი შეერთებისა და ამ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილის შესახებ არის საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნული კავშირის ხელმძღვანელთა, საფრანგეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორთა, საფრანგეთის მხატვართა და მენენერთა განცხადებანი.

კონგრესის მოწვევის ინიციატივისადმი შეერთების შესახებ მიეკუთვნა განცხადება ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარის ლომბარდო ტოლედანოსაგან.

მოსაშზადებელი კომიტეტის ბიუროს მიიღო ცნობა, რომ რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილია) ხალხმრავალ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მშვიდობის დაცვის ბრაზილიის კონგრესის მოწვევის შესახებ, რომელიც შედგება 9-11 აპრილს. ეს კონგრესი იქნება მშვიდობის მომხრეთა ბრაზილიის კონგრესი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესში ბრაზილიის საზოგადოებრივობის მონაწილეობის მოსამზადებლად.

დღეს პრესაში გამოქვეყნდა ფრანგი პოეტის პოლ ელუარის წერილი. როგორც ეიუწყებოდნენ, პოლ ელუარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზის მიცემაზე. წერილში ნათქვამია: „მე ამიტომ განვაცხადე, რომ განზრახული მაქვს მონაწილეობა მივიღო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესში, რომელიც ამბილში უნდა შედგეს, რომ, როგორც კულტურის მოღვაწეს, მოვალეობად მიმაჩნია მონაწილეობა მივიღო იმ ბრძოლაში, რომელიც ამჟამად წარმოებს ომის მომზადების წინააღმდეგ, ომისა, რომლის მკაფიო გამოვლინებისაკენ, ჩემი აზრით, წარმოდგენს ატლანტიკის ჰაქტის ხელმოწერა.

მე მსურდა დავსწრებოდი მშვიდობის დაცვისათვის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა ამერიკის კონგრესს, რომელიც ნიუ-იორკში გაიმართება. მაგრამ შეეძლე, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი უარს მეუნნება ვიზის მოცემაზე, 1918 წლის 16 ოქტომბრის კანონის მიმიზეზებით, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალება ყველას, ვინც ეკუთვნის ისეთ რომელსმე ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს ფედერალური მთავრობის დამხობას.

ამ ბრალდებას ამკამად უკიენებენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის 12 ხელმძღვანელს.

მე აღვნიშნავ, რომ ამავე საბაბს იყენებენ ამჟამად ჩემს წინააღმდეგ — ფრანგი მოქალაქის წინააღმდეგ, რომელიც თავის ნაწარმოებებში მიზნად ისახავს მხოლოდ ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერების დაცვას.

მე უანარეად მეჩვენება, რომ ეს გარემოება ხდება იმ მომენტში როცა საფრანგეთის მთავრობა ამერიკელ მოქალაქეს, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, ნებას აძლევს უვიზოდ შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში".

გაზეთი „ლუმანიტე" ეხება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უარს აბატ ბულეს, ეეენი კოტონისა და პოლ ელუარისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზის მიცემაზე და წერს:

„ეს გადაწყვეტილება ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფის აშკარა განზრახვას. ეს შეურაცხყოფა შესაძლებელი გახადა ჩვენი მშრომელების ქედის ხერხი. რომელთა ენარი არ შესწევთ უზრუნველყონ ფრანგი მოქალაქის ღირსებისადმი პატივისცემა".

ალბანეთი

ტირანა, 23 მარტი. (საკდესი). ალბანეთის განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირმა, მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, შენგელთა პროფკავშირმა და ფოთელ ჯვრის ალბანურ-ბულგარულ კომიტეტმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც სრულ სოლიდარობას უცხადებს და მხარს უჭერს მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტის და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

ბულგარეთი

სოფია, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს შედგა სოფიის სტუდენტთა და მოსწავლეთა მასობრივი მიტინგი მშვიდობის დასაცავად. სოფიის უნივერსიტეტის შენობასთან შეკრიბა ათასობით ჯამეკი და ქალაშვილი. მათთან მოიტანეს ასობით პლაკატი და ლოზუნგი, რომელნიც მოუწოდებენ ომის გამჩაქცევისა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, საყოველთაო მშვიდობისა და კულტურის დაცვისაკენ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სოფიის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნაკოკოვმა.

მიტინგის მონაწილეებმა უღიდესი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ".

ფხენიანში შეიქმნა საინიციატივო კომიტეტი მშვიდობის დასაცავად ეროვნული ყრილობის მომზადებისათვის.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 23 მარტი. (საკდესი). მონღოლური გაზეთები კვლავ ბეჭდავენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მრავალ განცხადებას, წერილსა და რეზოლუციას, რომლებიც მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევას და გამოთქვამენ მზადყოფნას აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.

ქალაქ უიდერხანის (ხენტეის იმპაის ცენტრი) მშრომელთა მასობრივ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა მშვიდობის მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ, სიტყვა წარმოთქვა მშრომელ ქალთა საალაკოს ხალუს თავმჯდომარემ ცეციოგმა. შეკრებილთა ტაში და გრიალში მან თქვა: „ჩვენი ომაკის ყველა მშრომელნი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ერთსულოვნად იწონებენ წენადადგენას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. ეს კონგრესი უფრო მეტიდროდ დარაზმავს მშვიდობის მომხრეთა ძალებს, რომლებსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი, და შესაძლებლობას მოგვეცმს უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ ინფლისელ და ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გაანაღონ ახალი მსოფლიო ომი".

ჩინეთი

ჩრდილოეთი შენინი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, 20 მარტს შედგა კრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბეიპინის საწარმოთა 1.200 მუშამ. კრების მონაწილენი მხურვალედ გამოეხმაურნენ მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

კრებაზე გადაწყდა — არჩეულ იქნან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის დელეგატები.

ბულგარეთი

სოფია, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს მუშა ფედა სოფიის სტუდენტთა და მოსწავლეთა მასობრივი მიტინგი მშვიდობის დასაცავად. სოფიის უნივერსიტეტის შენობასთან შეკრიბა ათასობით ჯამეკი და ქალაშვილი. მათთან მოიტანეს ასობით პლაკატი და ლოზუნგი, რომელნიც მოუწოდებენ ომის გამჩაქცევისა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, საყოველთაო მშვიდობისა და კულტურის დაცვისაკენ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სოფიის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნაკოკოვმა.

მიტინგის მონაწილეებმა უღიდესი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევისათვის.

რუმინეთი

ბუქარესტი, 23 მარტი. (საკდესი). უფრო და უფრო ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის სასარგებლოდ. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის მისამართით ყოველდღე მოდის ცალკეული მოქალაქეების, საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების მრავალი დეპეშა და წერილი, რომლებთაც რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომელები აწონენენ მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივას.

ფილიპინების კომპარტიის მენეჯერული მღვენის განცხადება

შანხაი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი მანილიდან იუწყება, ფილიპინების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მარიანო ბალგოსმა ინტერვიუში განაცხადა, ომის შემთხვევაში ფილიპინების კომუნისტები ამ პარტიის ბრძოლა მხარეზე იქნებიანო. ბალგოსმა თქვა: „ჩვენ მზარს დავუჭერთ საბჭოთა კავშირს, რადგან მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიო დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ღიდერია, აგრეთვე მთელ მსოფლიოში უბრალო ადამიანთა ინტერესებისათვის მებრძოლი. ფილიპინელ იქნებოდა გვეფერა, რომ საბჭოთა კავშირი როდესმე გამოიჩენს ომის ინიციატივას".

გერმანელი ხალხი მივესალმება გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს

ბერლინი, 23 მარტი. (საკდესი). გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებულმა კონსტიტუციის პროექტმა ფართო გამოხმაურება პპოვა გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის მოსახლეობაში. ზონის საწარმოებში, დაწესებულებებსა და დემოკრატიულ ორგანიზაციებში გამართულ მრავალ კრებაზე ღიებენ რეზოლუციებს, რომლებიც ითქვამენ ამ პროექტის ღიდ მნიშვნელობას გერმანიის მომავლისათვის.

როგორც ადენს საგენტო პოტსდამიდან იუწყება, ოდეფრესდენიის ეკემენტის ქარხნის კოლექტივის კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუციაში ნათქვამია: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია წარმოადგენს მთელი გერმანიის პროგრესულ ადამიანთა თანხმობლობის საფუძველს". რეზოლუციაში დაგმობილია დასავლეთ გერმანიის პოლიტიკოსთა საქმიანობა, რომლებიც დასავლეთელ „გერესორებთან ერთად ზიანს აყენებენ გერმანელ ხალხს და გამოდიან გერმანიის ერთიანობის წინააღმდეგ. ასეთმა პოლიტიკამ, ნათქვამია რეზოლუციაში, არა მარტო გერმანიის გათიშვა გამოიწვია, არამედ ბერლინიც გადაკეცა ომის გამჩაქეველთა და ვალუტით სპეკულანტთა საქმიანობის ასპარეზად.

საქსონია-ანჰალტის მხარის „კულტურბუნდის" გამგეობა თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ გერმანიის სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებული კონსტიტუცია გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენს გერმანიის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

ბულიეს, ელუარსა და ეჟენი კოგონს უარი უთხრეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე

ნიუ-იორკი, 22 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეტედ პრესის საგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის სალმრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთოლოგიური ეელესის ბოდიეს ბულიეს, პიეტს პოლ ელუარს და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციის თავმჯდომარეს ეჟენი კოტონს უარი ეთქვათ ნიუ-იორკში ჩასასვლელ ვიზებზე, სადაც ისინი უნდა დასწრებოდნენ მშვიდობის დასაცავად მოწვეულ ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესს.

პროფესორები ამერიკის შეერთებულ შტატებში მეცნიერების და კულტურის უსხოელი მოღვაწეებისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალი პროფესიების მუშაკთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე შეკლიმ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს აჩვენოს საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა ომის გამო, რომ ამერიკის საელჩოებმა ნიუ-იორკში მოწვეულ მშვიდობის დაცვის კონგრესში მონაწილეობის მისაღებად ვიზის მიცემაზე უარი უთხრეს კულტურისა და მეცნიერების 12 ცალ ხელ მოღვაწეს. შეკლიმ განაცხადა, რომ ვიზაზე უარი ეთქვა ოთხ ინგლისელ მოღვაწეს, სამ ფრანგს, ოთხ იტალიელსა და ერთ ბრაზილიელს.

დეპეშაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების უცხოელი მოღვაწეებისათვის ვიზის მიცემაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ პრესის თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების პრინციპებს.

ჩინეთში შეიქმნა ახალი მთავრობა

შანხაი, 22 მარტი (საკდესი). აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარედ 12 მარტს დანიშნულება გენერალმა ხო-ინ-ცინმა გუშინ დამთავრა შედგენა მინისტრთა ახალი კაბინეტისა, რომელშიც შეეიდნენ: პრემიერ-მინისტრი (ლმინისტერი იუანის თავმჯდომარე) ხო ინ-ცინი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ძია ძინდი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი სუი იუენ-ჩანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ლი ხა-ხუნი, საგარეო საქმეთა მინისტრი ფუ ბინ-ჩანი, ფინანსთა მინისტრი ლიე გუან-იუნი, ეკონომიკის მინისტრი სუნ ფეი-ცი, გზათა მინისტრი დუან მუ-ცი, განათლების მინისტრი ხაო ლი-ე, იუსტიციის მინისტრი ჯან ძი-პანი და სხვ.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

პარიზი, 22 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ალეიროსნილი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური კამპანია, რასაც ფრანგისტული რეაქციის პროპაგანდის ორგანოები ეწევიან, აფრთხილებენ ამ ეროვნული ტერორის ჩაბრძოლის უაზრო საბაბით დემოკრატიულ და ანტიფაშისტური ბანაკის საუკეთესო მებრძოლთა წინააღმდეგ განხილული ფესისტიკული ტერორი შეკარად ისახავს მიზნად ჩაბრალოდეთ ამერიკის სმპერიალიზმის წინაშე ამ სამხედრო ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც ფრანკომ და მისმა ბრიგამ აკისრეს. ეს ვალდებულებანი ჩვენს ტერიტორიაზე ბაზების მიცემით კი არარ ვნისაზეურებიან, არამედ იმ ვალდებულებასაც ეკ შეიცავენ, რომ ფრანკისტული არმიის ზეკომანდავლითა გადაეცეს ამერიკის შტაბს ვისაგდებში მოდმიეი მისთის დაარსების გზით, რომელს შემადგენლობაშე შეეკენ გენერალი საენს დე ბერუიგეი, პოლკოვნიკი სარტორიუსი და დოს დე ზენლოსა (ესპანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის ოფიცერი. — რედ. შენიშვნა) და გენერალ ვინდელნან დუანს ვიკი (მონარქისტული ჯგუფის „ორგანისაციონ მონარხიკას" წევრი. — რედ. შენიშვნა). ეს კომისია იქნება ფრანკოს სამხედრო შენაერთებისათვის ამერიკის სარდლობის ბრძანებათა გადამცემი ორგანო.

ფრანკისტული რეჟიმი ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობის სამხედრო ბრძანებანი ისეთივ მონურად შეასრულოს, როგორც ეწარსულთა ომ ეროვნული ბრძანებანი ასეთივ ბრალეულ ეროვნული ეროვნული ეროვნული